სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-თად მიჰმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რე-დაქცია არ ბეჭდავს.

პ ირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-ტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.


## ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.

სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი 75 კაპიკად.

ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეული სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს, გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10% გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.

ადრესი: Тифлисъ, фотографія А. Ройнова, А. Нордштейну

(10—10)

კვირას, 17 იანვარს, დანიშნულია საზოგადო კრება ხელოსანთა ამხანაგობის

## შრომისა

კრება გაიხსნება დილის 10 საათზე ამხანაგობის ქარხანაში, ხიდზედ, მუხრან-ბატონის სახლებში.

საგანი კრებისა:

1. მოხსენება ექვსის თვის ანგარიშისა.

2. არჩევა ფირმის წარმომადგენლისა მომავალის წლისთვის.

3. სარჩელი მაზედ, თუ რა საშუალებით შეიძლება ამხანაგობის თანხის გაძლიერება და ქარხანის უკეთ მოწყობა.

4. არჩევა გამგეობის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. არჩევა ზედამხედველ-კომიტეტის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა.

საარჩევანო კენჭი მიეცემა მხოლოდ იმ წევრთ, რომელნიც 17 იანვრამდის საწევრო ფულს 13 მანათად შეასრულებენ.

(4—1).

## ვკისრულობ

ხე-ტყის განიხვრას, ვადაზე ვასრულებ საჩქარო საქმეს, რაც შეიძლება, მალე ვშოულობ სესხს როგორც სასოფლო მეურნეობისათვის, ისე ხე-ტყით სარგებლობისათვის.

ადრესი: ტფილისი, ალექსი გრიგორის ძე სნეჟნიკოვი, ლაბორატორის ქუჩა სახლი № 26, ტელეფონი 567.

## ექიმი

ქ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

*** საბებიო ინსტიტუტში კურს დამთავრებული ქალები. 31 დეკემბერს 1898 წ. ტფილისის ოლგას საბებიო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა თვრამეტმა მოწაფე-ქალმა; მათ შორის ოთხი ქართველია, სხვები რუსნი და სომეხნი. თორმეტმა მოწაფემ 5 იანვარს 1899 წ. მიიღო სამოქალაქო ბებიის მოწმობა, ხოლო დანარჩენმა ექვსმა სასოფლოსი. მათ შორის საქალაქო ბებიის მოწმობა მიიღო სამმა ქალმა: თუხარელმა ქეთევანმა, კობახიძე ნადეჟდამ და ქისტიშვილმა ანასტასიამ, ხოლო სასოფლო ბებიის მოწმობა მიიღო ლომიძემ სოფიომ.

*** სოფლების შუამდგომლობის გამო. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევამ 8 იანვარს განიხილა სოფ. ნიგოითისა და ლანჩხუთის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ რიონის ნაპირებზე გაკეთდეს საგუბარი, და აირჩია კომისია შემდეგ პირთაგან: კალანტარისა, სტაროსელსკისა, ანდრონიკაშვილისა, კოლჩევსკისა, საფრონსკისა, ფიგუროვსკისა, ქუთაისის განყოფილების ვიცეპრეზიდენტის ხოჯაშვილისა და თავ. ა ერისთავისაგან, რომელთაც ადგილობრივ უნდა გაიცნონ საქმის ვითარება. ამასთან საზოგადოების რჩევამ დაადგინა ეთხოვოს ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დანიშნოს კამისიაში თვისი წარმომადგენელი.

*** საბაღოსნო სკოლის დაჯილდოება. მთავარმართებლის კანცელარიამ გაუგზავნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მე-3 ხარისხის დიპლომი ტფილისის საბაღოსნო სკოლისათვის, რომელსაც დაენიშნა ეს დიპლომი 1896 წლის ნიჟეგოროდის გამოფენაზე წარდგენილ ნაწარმოებისათვის.

*** გ. ი. გაბაშვილის სამხატვრო გამოფენა. ჩვენი ნიჭიერი მხატვრის გაბაშვილის გამოფენას ამ ბოლო დროს კიდევ მოემატა რამდენიმე ახალი სურათი. გამოფენას მრავალი ხალხი ეტანება.

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის დანიშვნის საქმე. რადგან კავკასიის საზოგადოების მიერ ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის კანდიდატებად წარდგენილ პირთ უკვე თავ-თავისი თანამდებობა აბარიათ, ამის გამო მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა წინადადება მისცა ხსენებული სკოლის მზრუნველს, აირჩიეთ, საზოგადოების საბჭოსთან შეთანხმებით, სხვა კანდიდატები და წარმოგვიდგინეთ თანამდებობაში დასამტკიცებლადაო.

*** ხელოვნური ჩანჩქერი მთაწმინდაზე. ინჟინერმა ლინდლეიმ, რომელიც ამ ჟამად ფრანკფურტში იმყოფება, წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას: შევიდგენთ იმის პროექტს, რომ მდ. წავკისიდან და წყაროებიდან აყვანილ იქმნეს წყალი მთა-წმინდის მთაზე, სადაც გაიმართება ხელოვნური ჩანჩქერი, რომლის ძ

ლო გამოდგება არა მარტო ელექტრონის ტრამვაისა და ელექტრონით განათებისათვის, არამედ სხვადასხვა სამრეწველო საქმისათვისაო. გარდა ამისა, რაკი მთა მოირწყვის ზედ შესაძლებელი იქნება მშვენიერი აგარაკებისა, ხეივნებისა, ბაღებისა და ტყის გაშენებაო.

*** **კრების გადადება.** შაბათ, 12 იანვრისათვის დანიშნული საზოგადო კრება ხელოსანთა ამხანაგობის „შრომისა“, გადადებულ იქმნა მეორე დღისათვის 17 იანვრისათვის.

*** **შტაბს-კაპიტანის ვორონკოვის მოკვლის საქმე.** კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ გადასცა უმთავრეს სამხედრო სასამართლოს. უნტერ-ოფიცრის ლოლობერიძის საკასაციო საჩივრის გარდა, რომელსაც სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა, წარდგენილ იქმნა კიდევ საკასაციო პროტესტი სამხედრო პროკურორის თანაშემწისაგან. უკანასკნელი პროტესტს აცხადებს ლოლობერიძის ჩამოხრჩობის წინააღმდეგ და საჭიროდ სცნობს, რომ დამნაშვე დახვრეტილ იქმნეს.

*** **დედაბრის დაკარგვა.** ამ დღეებში სადღაც დაიკარგა ავლაბარში მცხოვრები ვიღაც 60 წლის დედაბერი, ტიტულ. სოვეტნიკის ქვრივი პრასკოვია ღვორკისა, რომელიც მისი ქალიშვილის მარიამის სიტყვით, ნათლისღება-დღეს, საღამოს 6 საათზე გავიდა სახლიდან და მას აქეთ აღარ დაბრუნებულა შინ.

*** **ჯვარის-წერის დაშლა პატარძლის უარის გამო.** გაზ. „მშაკს“ სიღნაღიდან აუწყებენ შემდეგს შემთხვევას, რომელიც მომხდარა ადგილობრივ სომეხთა ეკლესიაში 28 დეკემბერს. 52 წლის კაცს ჯვარი უნდა დაეწერა 16 წლის ქალზე. ახალგაზდა ქალმა, როგორც-კი თავმოყრილ საზოგადოებას თვალი გადაავლო, ტირილი მორთო. ვიღამაც დამსწრეთაგანმა წარმოსთქვა, სარძლოს მისი სურვილის წინააღმდეგ ათხოვებენო. ამ სიტყვებმა ხალხში ლაპარაკი გამოიწვია და ასტყდა ხმაურობა და წინააღმდეგობა: სარძლო ხმამაღლა აქვითინდა, ერთი დამსწრეთაგანის თხოვნით მღვდელი დაეკითხა ქალს, თანხმა ხარ თუ არა სასიძოს ცოლად წაჰყვეო. სარძლომ უარი განაცხადა და მღვდელმა ქალი მაშინვე გაისტუმრა.

*** **თოვლი ბათომში.** ბათომში ჯერ ისევ თოვლი დევს და ქუჩეში ისეთ საძაგელ მდგომარეობაბია, რომ მცხოვრებთ ზედ სიარული ვერ მოუხერხებიათ. ნამეტურ საშინელი სანახავია უმთავრესი ქუჩები—მიხეილისა და ბაქოსი,—რომლებზედაც მუდამ ღარხნებში მომუშავე ეტლები მოძრაობენ.

*** **მისაბაძი მაგალითი.** („რიონის მშრომელთა ამხანაგობის“ დამაარსებლის წინადადება). „რიონის მშრომელთა ამხანაგობის“ დამაარსებელი დასტამბულ წერილებით აუწყებს თავისს ნაცნობებს და აგრეთვე იმათ, ვისაც მასთან გაცნობა და რაიმე საქმის დაჭერა სურს, რომ ამ 1899 წლის 15 იანვრიდგან 15 თებერვლამდის ირთავს ქალს (ნამდვილ დღეს თავისი ქორწინებისას არ ნიშნავს იმ აზრით, რომ არც შორიდან მილოცვით და არც ქორწინებაზე მისვლით არავის შრომა და რაიმე ხარჯი არ დასჭირდეს). და ამასთან სთხოვს ყველას, რომ ის ხარჯი, რომელიც უნდა გაეწიათ ამ შემთხვევაში, მოახმარონ ქვემო აღნიშნულ საზოგადო საქმეს... რადგან შრომასა და საქმეზედ უნდა დამყარდეს ჩვენი მომავალი ბედნიერებაო, ამბობს წერილის ავტორი, სიტყვიდგან საქმეზედ უნდა გადავიდეთ და ამ აზრის განსახორციელებლად მან 1890 წელს დაუარსებია ეგრედ წოდებული „რიონის მშრომელთა ამხანაგობა“, რომლის მოქმედება 1895 წლის წყალ-დიდობის მიზეზით შეჩერებულია, ამ ამხანაგობას თანხადა ჰქონია ჯერ ხანად მხოლოდ ათი თუმანი. რომ ეს ამხანაგობა გაიზარდოს და სათანადო გამოიღოს, საჭიროა წევრთა რიცხვი გაუმრავლდეს, ყველანი მოვალენი ვართ ამ ნორჩს ამხანაგობას დავეხმაროთ ფეხზე დავაყენოთო... დღეის ამას იქით, ვისაც უნდა ჩემი ნაცნობობა, და რაიმე დამოკიდებულებაო, ვსთხოვ წევრათ ჩაეწეროს ამ ამხანაგობაში მის წესდების თანახმათო, ხოლო ვინც ამ საქმეს თანაგრძნობას არ გამოუცხადებს, მასთან ვსპობ ყოველივე კავშირსაო. ჩემი და ჩემ ნაცნობ-მოკეთეთა კავშირი იქმნება მხოლოდ სურვილი ამ ამხანაგობის სამსახურისაო. ფული თანამგრძნობთ შეუძლიანთ გაუგზავნონ: ქუთაისში—სამსონ თოფურიას, ფოთში—ნიკო ნიკოლაძეს, ბათომში—ალექსანდრე გოგიჯანოვს, სოხუმში—იოსებ ლოლუას, ოჩამჩირეში—დადუ ნარაკიძისას, ზუგდიდში—ჩანთა კოსტავასთან, სენაკში—ივანე მეუნარგიას, სოფ. ხეთაში—მიხა ქართუას, ხობში—გერასიმე ხუხიას, ანაკლიაში—მიხეილ წულეისკირს, ყულევში—ნიკოლოზ წულეისკირს, ხონში—მიხეილ პეტრეს ძე სანაძეს, გუდაუთში—დიმიტრი ნადარეიშვილს და სოჩაში—ბესარიონ ხოშტარიას. დაგეთანხმებით, რომ ეს მაგალითი ჩვენში სწორედ ღირსია მიბაძვისა დასრული თანაგრძნობისა.

*** **დ. ჩოხატაური** (გურია). **სხვა და სხვა ავადმყოფობა.** ამ ჟამად ძლიერ გავრცელებულია დ. ჩოხატაურის ახლო მახლო სოფლებში სხვა და სხვა ნაირი ავადმყოფობა: ყვავილი, ყელის ტკივილი, ყივანა ხველა, ციება და მუცელა. ციება არ გაგვიკვირდება, რადგანაც ეს ჩვეულებრივი სენია ჩვენის სოფლების, ხოლო რაც შეეხება სხვა ზემო ჩამოთვლილ ავაომყოფობას, მათ იშვიათად შეხვდებით ჩვენში წრევანდლამდის და წელს-კი მათგან ლამის განადგურდნენ მცხოვრებლები. ყივანა ხველამ და ყელის ტკივილმა დიდებს ვერა დააკლეს რა, ხოლო ბავშვებს კი მუსრი გაავლეს. ყვავილმა უფრო დიდებში ისახელა თავი და ვისაც ემართება სამუდამოდ ასალმებს წუთი სოფელს. ყველაზედ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ერთსა და იმავე ოჯახში ხშირად ორი და სამნაირი სენი ჩნდება და ამის გამო ხშირად ავადმყოფნი უპატრონობით კვდებიან. აი ამის ორიოდე მაგალითი: სოფელ საჯავახოში მცხოვრებ ნიკო დუდუჩავასას გაჩნდა ყვავილი და ყელის ტკივილიც. ყვავილით რომ ოჯახის უფროსი ნიკო დუდუჩავა გახდა ავათ, ყელის ტკივილი იმავე დროს იმისს ცოლს და ექვს მისს წვრილ შვილს დაემართა. ჯერ-ჯერობით ყვავილმა მოჰკლა ოჯახის უფროსი ნიკო დუდუჩავა, ხოლო ყელის ტკივილმა კი—ერთი იმის ბავშთაგანი. ამასაც ვინლა იდარდებდა, რომ დანარჩენი ავადმყოფებიც უკიდურს მდგომარეობაში არ იყვნენ, ცალკე ავადმყოფებით და ცალკე მოუვლელობით. ასე გასინჯეთ ავადმყოფებისათვის თავ მდგომიც ვერ გვიშოვნია. ყვავილი რომ იყოს მარტო, შეგვიძლია ყვავილ მოხდილი კაცი ვიშოვნოთ და დავაყენოთ თავზე ავადმყოფს, მაგრამ ყელის ტკივილ მოხდილი-კი არავინ გვეშოვება. გაიგონებენ თუ არა მეზობლები ამ და ამ მეზობლისას ეს და ეს ავადმყოფობა გაჩნდაო, მაშინვე თავ-თავის ოჯახებს თავს ანებებენ და სხვა სოფლებში მიდიან, რომ ხიფათს აცდნენ, თორემ ერთის ტკივილი მეორეს ხომ არ აწუხებს?

დღე ისე არ გავა, რომ ჩვენი დაბის ახლო-მახლო სოფლებში ყვავილით 7—8 სული არ მოკვდეს. ყვავილისაგან ხშირი სიკვდილი, სხვათა შორის, მცხოვრებთა უმეცრებაზეა დამოკიდებული. ყვავილით ავადმყოფს საცვალს არ გამოუცვლიან, ბატონები იწყენენო. ერთ და იმავე საცვალში
უნდა მოჰკვდეს ან უნდა მ
ჩეს ყვავილით ავადმყოფი.
ავადმყოფთან ექიმს არ მოიყვ
ბენ, ექიმი წამალს გამოუწ
ავადმყოფს, წამალს ბატონები
იკადრებენ და გაჯავრებულ
მუსრს გაგვავლებენო.

მიზეზი კიდევ ყვავილის გა
ცელებისა ის არის, რომ ყვა
ლით მკვდარს დიდხანს ინახ
სახლში. ავადმყოფის თავმდგომ
ბისაგან სიმართლეს ვერ გაიგ
ყვავილით ავადმყოფის შესახ
მოკვდება თუ მორჩება ყვავილ
ავადმყოფი, თავმდგომები ერთ
იმავეს გაიძახიან: ეს და ეს ავა
მყოფი კარგი ბატონების წყალ
ბით კარგად ბრძანდებაო... სო
ციხეს ყვავილმა სამი მოსახლე
ცი უნადგამოთ ამოსწყვიტა.
პატარა სოფელში, რომელშ
80-მდე მოსახლე ირიცხება,
მოსახლისას არის ყვავილი. სო
ციხის მეზობელ სოფელ
ნოულში ძლიერ მაგრად ა
ფეხი გადგმული, როგორც ყვ
ვილს, ისე ყელის ტკივილ
ყივანა ხველას და მუცელას
ვილი ძლიერ ხშირია აგრეთვე
ჯვარცხმოში, ფარცხმაში და ბ
ჟოულში (ყველა ეს სოფლ
დ. ჩოხატაურის საბოქაულოა)
გილობრივი ექიმი ბ. ქუთათელ
თავის ფერშლებით ენერგიულ
ხმარებას უწევს ავადმყოფთ
შემდეგისთვის იმედი გვაქვს, რ
ქუთათელაძე კიდევ უფრო მ
ჯვედ გაუწევს ბრძოლას ავად-მ
ფობას.

— **ამინდები.** 13 დეკემბერს
ნში $3/4$ არშინამდე თოვლი
ვიდა, რომლის მოულოდნელ
სტუმრობამ შიშის ზარი დაგ
აქაურს მცხოვრებლებს, რადგა
საზამთროდ მოწყობილი არ ვ
ვით. მართალია, დეკემბერი ზა
რის თვეა და უკვე მზად უ
ვყოფილიყავით ზამთრის დასახვ
რად, მაგრამ გიორგობისთ
ბრწყინვალე დღეებმა გაზაფხულ
მოგვაგონა და თოვლის მოსვ
აზრადაც არ მოგვსვლია. ათი დღ
შემდეგ თოვლი წყლად იქცა
კიდევ ისეთი ბრწყინვალე დღე
დაიწყო, თითქო ახალი გაზაფ
ლი იყოსო.

სარდიონ მგალობლიშვილ

*** **გუდაუთი** (აფხაზე
**ახალი წელი და ახალი ამბები.**
ლად შემოღებულმა წარმოდ
ყურადღება მიიქცია. არტისტ
წინდაწინვე გამოაცხადეს, რომ
ვრის ექვსს წარმოდგენა გვექ
და ბილეთები გაგვისაღეთო; მ
ლაც და დანიშნულს დღეს
დენ მსურველნი სასტ. „კავკა
სადაც წარმოდგენა იყო დანი

ლი; მაგრამ საუბედუროდ - მაყურებლებს არ ღებულობდენ, რადგანაც „სეკრეტნი“ წარმოდგენა გვაქვსო, აბა რას იზამდენ, გულხელ-დაკრეფილნი უკანვე დაბრუნდნენ.

ერთათ-ერთი მამა-პაპური რამ დარჩენილა: ახალ წელს მეზობლების ერთმანეთში მილოცვა. ეს ერთი კი ძველებურათ შეასრულეს, მაგრამ ამასაც არ ქონდა ძველებური ფერი, „ვიზიტათ“ მოსიარულენი ერთობ განსაცდელში ჩავარდენ აფხაზებისაგან. ყმაწვილები მწკრივ-მწკრივათ ქუჩებზე მწყობრათ მიდიოდენ თან ნელის ღიღინით, რომელსაც აფხაზების ურემი ბანს აძლევდა. ბოლოს როდესაც მოთმინებიდან გამოვიდენ „მოვიზიტენი“ პოლიციასთან დააბეზღეს აფხაზები. „დღეს დიდი დღეა, ახალი წელიია და ესენი ურმით დადიანო,“ პოლიციამაც შეიპყრო რამოდენიმე მათგანი და დაატუსაღა.

*** ს. რკვია (იმერეთი). რაინდების თავ-გასულობა. ახალ წელიწადს ერთი უბედურება დატრიალდა სოფ. რკვიაში. ამ სოფელში ცხოვრობენ თავხედი ყმაწვილები, გვარათ აბრამიშვილები. თუ იშოვეს ორიოდე კაპიკი, არ იციან რა საქმე ჩაიდინონ. სოფ. ბიდან აქ დომენტი აბრამიშვილთან დაიარებოდა მაჰანკალი კიკოლა გოგსაძე. ამ კიკოლა გოგსაძემ წამოიყვანა საახალწლოთ ერთი გასათხოვარი ქალის ნათესავები სასიძოსას, დომ. აბრამიშვილისას, უკანასკნელის ოჯახობის საჩვენებლად. როგორც კი მოვიდნენ, მაშინვე ჩვეულებისამებრ მიაწოდეს მაჰანკალს ორი ჩაის სტაქანი არაყი, მერე ღვინოც მიართვეს. აბრამიშვილის რაინდები აგულიანებდნენ სასიძოს, ამათ ძალიან დავალევინოთ, თორემ საცოლესთან საძრახს მიიტანენო. საწყალი მაჰანკალი ისე გალეშეს ღვინით, რომ ფეხზე ველარ იდგა. ბოლოს მაჰანკალმა სახლში წასვლა დააპირა, მაგრამ აბრამიშვილებმა გზა შეუკრეს. გოგსაძემ მაინც არ დაიშალა წასვლა და რაკი აღმართისაკენ გზა ჰქონდა შეკრული, გადასწყვიტა პირ-ქვით დავუყვებიო. გაძვრა საწყალი ღობეში და დაუყვა დაღმართს. როგორც ამას წინადაც მქონდა გაზეთში მოხსენებული, სოფ. რკვიაში ისეთი საძაგელი გზებია, მცხოვრებთა ერთმანერთის მტრობის გამო, რომ მთვრალი კი არა, ფხიზელი კაციც ვერ გაივლის მათზე. საწყალ გოგსაძესაც დასხლტომოდა ფეხი გზაზე, ჩავარდნილიყო ღელეში და დამხრჩვალიყო. პირისუფლებმა მთელი ერთი კვირა ეძებეს და ბოლოს, როგორც იქნა, ნახეს ღელეში მკვდარი. ამ გვარად დაღუპეს საბრალო კაცი აქაურმა რაინდებმა. ეს ვაჟბატონები გარეშე სოფლელს კი არა, აქაურსაც კი ბევრს გამოასალმებენ წუთი სოფელს, თუ არ აილაგმნენ. ამათი ბუდე არის რკვიის სადგური, იქ დათვრებიან და იქიდგან რომ წამოვლენ, ვაი მისი ბრალი თუ ვინმე შეხვდათ წინ, სიკვდილამდის სდევენ. ეკლესიაში კვირაობით ხომ ერთხელაც ვერ ნახავთ, გინდ ქუდიც შეუგდოთ შიგ, მაინც არ შევლენ გამოსატანად. მთელ სოფელს ამათგან მოსვენება არა აქვს არც ღამით, და არც დღით. ჩვენი მამასახლისი ხომ სრულებით ყურადღებას არ აქცევს მათ თავ-გასულობას.

იპოლიტე გაჩეჩილაძე

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა *)

იბ. მოწყალებისათვის. ვითარცა განათლებული შემოიტანს დროსა ყვავილოვნებისასა და გამოიღებს სასიამოვნოთა ყვავილსა და ვითარცა ზაფხული ჰყოფს მკასა ბედნიერობისასა, ესრეთვე მოწყალებაგარდაჰფენს კეთილმოქმედებასა თვისასა საწყალთა და უბედურთა ზედა

მქონებელი სიბრალულისა სხვათადმი განიმზადებს თანასწორსავე თავისა თვისისა მეწყესა, ხოლო კაცი უწყალო არა ღირს არის მისა. ვითარცა მესაკლავე სჭვრეტს აისხსა კრავისა თვისისასა შეუწყალებელ და, ეგრეთვე კაცი უწყალო განსაცდელთა სხვისათა არა შეუწუხდების გარნა კაცსა სიბრალულისა მექონსა ჩამოსცვივიან ცრემლნი, ვითარცა ცვარნი განათლებულისანი. ამისთვის ნუ იმას, მასქცევ ყურსა შენსა ხმისაგან საწყალთასა და თუ ქვა ჰყოფს გულსა შენსა.

ოდეს ობოლნი გითხოვდენ შენ შეწევნასა და ქვრივნი მოისწრაფდენ შენდა დროსა შეწუხებისასა მაწუხებელთაგან, მაშინ მიიღე მათთანა მწუხარემა და ისწრაფე შეწევნად შეუწევნელთა ზედა.

ოდეს იხილო შიშველი და მრთოდარე სიცივისაგან, რომელსაცა არა აქუნდეს თავისა მოსადრეკი, მაშინ შეუშვი უშინაგანესსა გულსა შინა შენსა სიბრალული მისი და დაითარე იგი ფრთითა კაცსა მოყვარებისათა, რათა სულიცა შენი ცოცხლად ეგოს.

უკეთუ საწყალნი უძლურებით ჰკვნესენ სარეცელთა თვისსა ზედა და უბედურნი იოხრავენ უბანთა ანუ საპყრობილეთა შინა, გინა თეთრისა წვერისა განშვენებულნი კაცნი ითხოვდეს შეწევნასა შენსა, მაშინ განა შეგიძლიან იყო განცხრომაში და არ იფიქრო და იზრუნო გაჭირებულთათვის?

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 722.

## ამორჩეული აზრები

—

ფილისოფოსი, რომელიც დავიწყებულ აზრებს იგონებს, წააგავს ამ კაცს, რომელიც ერთი ვერსის სიშორიდან უკან ბრუნდება, რომ დაკარგული გროში იპოვოს.

—

ქვეყანაზე ბევრია უცნობი გენიოსი, მაგრამ უცნობი სულელი კიდევ უფრო ბევრია.

—

ხნიანი გასათხოვარი ქალის არშიყობა იმ ძველ ლექსებს წააგავს, რომლებიც სამუდამოთ სტოლის უჯრაში უნდა ეწყოს.

—

ღმერთმა ქალებს წვერი იმიტომ არ მისცა, რომ მოპარსვის დროს არ დაჩუმდებოდნენ და მოპარსვა შეუძლებელი იქნებოდა.

—

„ჰო“ ისეთი სიტყვაა, რომელსაც ქალები თვალებით უფრო ადვილად წარმოსთქმენ, ვიდრე ტუჩებით.

## ყურმოკრული საუბარი

—

ერთმა კაცმა ყასაბთან ძროხის თავი იყიდა. ყასაბმა ძროხის თავს ჩუმად ენა ამოაცალა და ისე გაატანა მყიდველს როდესაც კაცმა თავი შინ მიიტანა, ნახა, რომ თავი უენო იყო. გაჯავრებულმა მიირბინა ყასაბთან და შესჩივლა.

— კაცო! რამიქენი უენო თავი რომ მომყიდეო.

ყასაბმა მიუგო:

— რაქენა ძმაო, ის ძროხა რომლის თავი შენ წაიღე მუნჯი იყოო.

—

ღვინობისთვის დამლევს, ერთმა ხშირად სხვის სუფრაზედ მოქეიფე ყმაწვილმა სადილად თავის მეზობლისას დაიკვეხა:

— ჩემს სასიმინდეში კიდევ არის ორმოცი ფუთი ძველი სიმინდი.

— ჩემო ძმაო! სიმინდს ხომ ვერ შეჭამს სიმინდს? მიუგო მეზობელმა.

—

— მომილოცე, ცოლს ვირთავ!

— ვის ირთავ? ჩაცივებულაძის ქალსა.

— ის ქალი ხომ ჭკუაზე შეიშალა.

— როგორ? როდის?

— მას შემდეგ, რაც შენ ნიშანი მიეცი.

—

ბრალდებულს ეკითხება მომრიგებელი მოსამართლე:

— თქვენ წინადაც ყოფილხართ როდისმე სამართალში მიცემული ქურდობის თაობაზე?

— არასოდეს ბ. მოსამართლევ.

— მერე მაგას მართალს ამბობთ?

— მართალს ბ. მოსამართლევ! რაც მე ამ ხელობას ვადგევარ, ამის მეტად არავის მივუცივარ სამართალში.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

დედამიწის მცხოვრებნი. ერთი გაზეთი შემდეგს ცნობებს გვაუწყებს დედამიწის მცხოვრებთა შესახებ: ადამიანთა საზოგადო რიცხვი უდრის 1.200,000,000 დედაკაცებისა და მამაკაცების რიცხვი თანაბარია. ადამიანები ლაპარაკობენ 4,064 ენაზე და აღიარებენ 1,000 სარწმუნოებას. ყოველ წლივ კვდება 35,214,000 ადამიანი და იბადება 36,792,000, ასე რომ ყოველ წლივ დედამიწას ემატება $1^{1}/_{2}$ მილიონი ადამიანია. საშუალო ხნოვანება ადამიანისა არ აღემატება 38 წელს, მაგრამ თითქმის 25 % კვდება 17 წლამდე. 100 წლამდე ცოცხლობს მხოლოდ ერთი 100—ში. ცოლშვილიანი და საქმის კაცები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვინემ უცოლშვილონი და უსაქმონი. განათლებული ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ველურები და ნახევრად ველურები.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

8 იანვარი

**კიევი.** დღეს რევოლვერით მოკლულ იქმნა თავის ბინაზედ არტისტი როშჩინ-ინსაროვა. მკვლელი—მილოვია, პეტერბურგის თეატრების დეკორატორი. მილოვი კიევში ჩამოვიდა თავისს ცოლთან, არტისტ ქალ პასხალოვასთან, რომელიც აგრეთვე კიევის თეატრში მსახურებდა, მკვლელობის მიზეზი იქვიანობაა. მკვლელი ქუჩაში შეიპყრეს.

**ქაირი.** ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია ინგლის-ეგვიპტეს შორის დადებული ხელშეკრულობა, რომლითაც დადგენილ იქმნა სუდანის საზღვრები. უმაღლესი ძალაუფლება გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც ინგლისთან მოლაპარაკების შემდეგ ქედივი ჰნიშნავს. ამ ხელ-შეკრულობით გაწესრიგებულ იქმნა საგარეო ვაჭრობა, აკრძალულ იქმნა მონებით ვაჭრობა.

9 იანვარი

**პარიზი.** საკასაციო პალატამ, გარეშე ხალხის დაუსწრებლად განიხილა სადიპლომატიო დოსიე და მოისმინა ამ დოსიეს შესახებ ჩვენება ჰანოტოსი და პალეოლოგისა, რომელთაც შემდეგ პირის პირ დაუყენეს გენერლები მერსიე, ბუადეფრი, გონზი და ბოლიო. იუწყებიან, რომ ესტერგაზის ერთს კვირაზე ადრე არ ჩამოართმევენ ჩვენებას.

**პარიზი.** პალატა. სოციალისტი ბრეტონი შეეკითხა სადიპლომატო „დოსიე“-ს შესახებ დრეიფუ-

სის საქმეში (აღელვებაა). ბრეტონი, შემდეგ ტრამიე ამტკიცებენ, რომ საერო განათლების მინისტრად ნამყოფმა რამბომ სამიწადმოქმედო კომიტეტში განაცხადა, კომიტეტის წევრმა მელინმა იცოდა, რომ ანრიმ სიყალბე ჩაიდინაო (აღელვებაა). მელინმა და ბარტუმ უარ-ჰყვეს ეს განცხადება. მელინმა სთქვა, რომ ანრის მიერ ჩადენილი სიყალბე გავიგე მაშინ, როდესაც ამის შესახებ კავენიაკმა პარლამენტში ალაპარაკა. მე საქმის ხელახლა განხილვას საჭიროდ ვსთვლიდი. მე იმას უარს არა ვჰყოფ, რაც უკვე წინად განვაცხადე. დასასრულ ბრეტონი თხოულობს, საჭიროა მოგვახსენონ რამ დოსიეს შესახებ, რომელზედაც ხან ამბობდნენ—არისო, და ხან—არაო. ორატორი იმ აზრისაა, რომ დოსიე შეიცავს მხოლოდ ყალბს საბუთებს. აუცილებლად საჭიროა აღმოჩენა დამნაშავეთა და მათი დასჯა. დელკასე ამბობს, რომ პალეოლოგს ნებას მისცემს საკასაციო სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემას და მოახსენებს სასამართლოს, რას ეძახიან დოსიეს. დოსიეშიო, სთქვა დელკასემ, არავითარი წერილი არ არის განსამართლებულის მიერ მიწერილი უცხოელ ხელმწიფესთან, და არცა ყოფილა, რამდენადაც ეს იციან აგენტებმა; რომელნიც სამსახურში არიან უკანასკნელის 10 წლის განმავლობაში. ჰკითხულობდნენ იმასაც, უცხოელს ვინმე ხელმწიფეს ხომ არავითარი წერილი არ მოუწერია დასჯილისთვისაო (გაკვირვების ხმა). დელკასე იმ აზრისა არის, რომ ამ გვარ საბუთების ნდობა შეუძლებელიაო. (ტაშის ცემა). მაგრამ განგებ არის თუ არა შედგენილი ასეთი საბუთის ქაღალდები, დელკასემ ეს არ იცის. არ იციან არაფერი ამ გვარ ამბის გამო არც გარეშე საქმეთა სამინისტროში. მაგრამ მართლაც რომ ყალბი ქაღალდი ყოფილიყოს შედგენილი, შემდგენელი ძლიერ გაფრთხილდებოდა და გარეშე საქმეთა სამინისტროში ვერ მოიტანდა. შესაძლებელია დიპლომატების შესახებ ვინმე სთქვას, გულ-უბრყვილონი არიანო, მაგრამ იმდენად კი არა, რომ ამ გვარი საბუთის ქაღალდები სამინისტროში მოიტანონ. (ტაშის ცემა) მელინმა გაიმეორა, რომ არც მე და არც ჩემის კაბინეტის რომელსამე წევრმა არა უწყოდენ რა ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის შესახებ, მე კმაყოფილი ვარ, რომ საქმე ჩემ დროს ხელ-ახლა განხილვამდე არ მივიდა, რადგანაც არც ერთი ისეთი ახალი საბუთი არ იყო, რომლის ძალითაც შესაძლებელი ყოფილიყო ამ საქმის განხილვა. თუ არის უდანაშაულო, დეე გამოაქვეყნონ ესა, მაგრამ ყველა კინათლად ხედავს, რომ დრეიფუსის საქმეში ჯარის წინაამდეგ მოქმედებენ. დრეიფუსის საქმე მხოლოდ მიზეზად აქვთ საქმის განხილვის მომხრეთ. დროა ავლაგმოთ ჯარის მტერნი. (უკიდურესი მემარცხენენი დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ). მელინმა დაუმატა, რომ უეჭველად არსებობს ჯარის წინაამდეგ ამხანაგობა. (ხმაურობა და ტაშის კვრა). სოციალისტი ვივიანი ამბობს, რომ ჩემი დასი პატივისცემით ექცევა ჯარსაო. კამათი დასრულდა.

9 იანვარი.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს დეპეშით აუწყებენ შანხაიდან, რომ ოგანუის პროვინციის 8000 მეამბოხე თავს დაესხა ათ იანვარს ქალაქ კოუნს. ქალაქის დამცველ ჯარის-კაცებში მოკლულ იქმნა 200 კაცი. ქალაქს ყოველ მხრივ მეამბოხენი არტყიან. ნანკინის ვიცე-კოროლმა კოუნს ჯარი მიაშველა.

**პარიზი.** შავი ჭირი ტამატვში მცირდება.

**მასოვა.** ხუთშაბათს რას მაკონენმა და მანგაშმა შეჰფიცეს ერთმანეთს ეკლესიაში მშვიდობიანობის დაცვა. როგორც ეტყობა, ზავის ჩამოგდება მანგაშას უთხოვნია, რომელსაც გაუჭირდა ადიაგამუსის დაცვა, მას შემდეგ, რაც მაკონენმა ადგილი დაიჭირა ალექვანის მთებზე. მაკონენის ჯარმა უკვე დაიწყო უკან დახევა სამხრეთისაკენ.

10 იანვარი.

**ბრიუსელი.** რუსეთის იმპერატორის მიმართ ღია წერილში გაზეთი „პატრიოტი“ ამბობს, რომ ბელგია, სახელმწიფოთაგან უზრუნველ ყოფილ ნეიტრალიტეტის წინაამდეგ, იძულებული ხდება მეომარ სახელმწიფოთაგან მუდამ შეიარაღებულ იყოს. გაზეთი აცხადებს იმ სურვილს, რომ კონფერენციამ საბოლოოდ დაადგინოს ნეიტრალურ სახელმწიფოთ, განსაკუთრებით ბელგიის, უფლებები, განსაზღვროს მეომარ მხარეთა მოვალეობანი ნეიტრალურ სახელმწიფოთა შესახებ, დააწესეს სავალდებულო სამედიატორო სასამართლო იმ შემთხვევებისათვის, როცა დავა ატყდება ნეიტრალურ სახელმწიფოთა და დიდ სახელმწიფოთა შორის; და დაიცვას ნეიტრალურ ადგილების ხელშეუხებლობა.

**ქაირო.** ხელი მოაწერეს დეკრეტს სუდანის გენერალ-გუბერნატორად კიტჩენერის დანიშვნის შესახებ.


# განცხადებანი

## „ივერია“

გამოვა 1899 წლისაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ |

საზღვარგარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლ[...]

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ[...]ვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოს[...]ფული ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს ამ გვარად: ხელის-მოწერის [...] 3 მან., პირველ მარტს 2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პი[...] სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწად[...] მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით – 4 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე [...]ზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთ[...]თი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის [...]ლიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადო[...] კანცელარ. სასახლის ქუჩ.. სათ.-აზნ. ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція «ИВЕРІА.»

რედაქტორ გამომცემელი **ილია ჭავჭავ[...]**

---

Открыта подписка на новый еженедѣльный журналъ

# ЗНАМЯ

**политическій, научный и литературный.**

Первая книжна печатается въ 30,000 экземп.

Главная задача нашего изданія сводится къ обсужд[...]нію вопроса объ организаціи труда, объ упроченіи экон[...]мическаго быта трудящихся классовъ населенія. ЗНАМ[...] выражаетъ увѣренность, что вопросъ о трудѣ есть цен[...]ральный вопросъ культуры, отъ рѣшенія котораго зав[...]сить въ значительной степени наша національная буду[...]ность. Трудъ—это главный факторъ культуры и посл[...]няя стоитъ на прочной почвѣ, если организація труда [...] странѣ отвѣчаетъ требованіямъ христіанской нравственно[...]ти. „Знамя“ будетъ выходить каждую недѣлю, отдѣль[...]ми книжками, до 4 печатныхъ листовъ текста. ПРОГР[...]ММА: **1. Обозрѣніе иностранной и внутренней жизни. II. Вопр[...]сы религіозные, и научные. III. Литературная критика. IV Рома[...] повѣсти, разсказы и стихотворенія.** Первая книжка выходящ[...] 1 декабря высылается лицамъ, желающимъ ознакомит[...] съ идейной стороной изданія за одну 7 коп марку.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: Съ доставкою на годъ 5 р., [...] года 3 р. 1/4 года 1 р. 50 к., безъ доставки на годъ [...] р., 1/2 года 2 р., 1/4 года 1 рубль.

**Адресъ Редакціи и Конторы:** Москва, Варсонофьевскій [...] д. Кн. Гагарина, Телеф. № 600.

Редакторъ *Н. Д. Облеуховъ.* Издательница *А. Д. Пустошкин[...]*

(6 1)

---

**1899 г. подписка на еженедѣльный журналъ ГОДЪ XVIII.**

**РЕБУСЪ,** знакомящій читателей съ современною ну[...] разработкой вопросовъ психической области, ка[...] **медіумизма** (спиритизма), **животнаго магнетизма, ГИПНОТИ[...] ясновидѣнія, двойнаго зрѣнія, мысленнаго внушенія, видѣнія призраковъ** [...]зненныхъ, присмертныхъ, посмертныхъ и т. п. На страницахъ журнала [...]щаются описанія сеансовъ извѣстныхъ медіумовъ въ Россіи и заграницей. [...]тьи по **Астрологіи**, знакомящія съ этой наукой, и те[...]чески и практически: составленіе гороскоповъ. Статьи [...] **культизму**, заключающія въ себѣ ученіе древнихъ и новѣй[...] оккультистовъ. **Беллетристика: романы, повѣсти и разсказ[...]**

Годъ съ дост. 5 руб., безъ дост. 4 руб. 1/2 года 3 » » 2 » | Разсрочка: при подпискѣ 2 руб.; [...] апрѣля, 1-го іюля и 1-го окт. по [...]

Адресъ: Царское село (Петербургской губ.), редакція журнала „РЕБ[...]

(6—